ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5926458

ნომერი: AR1896216

თარიღი : 03.05.2022

გაცემის თარიღი : 05.05.2022

გაცნობის თარიღი : 05.05.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა, N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1.„ს-1 – განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ბიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები;შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის, კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე სასაწყობო, ელექტროქვესადგურებისა და წყლის რეზერვუარებისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება“ – შესაბამისად, განთავსების სქემაზე მოინიშნოს ძირითადი ობიექტი და წარმოდგენილ იქნას ძირითადი და საპროექტო დამხმარე შენობების კვადრატულობების პროცენტული შეფარდება.

2.ორთოფოტოზე ფიქსირდება არსებული შენობა, რომელიც არაა დარეგისტრირებული. განმარტეთ აღნიშნულთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში თუ ხდება არსებული შენობის რეკონსტრუქცია, საჭირო იქნება პირველ რიგში აღნიშნული შენობის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა და ნომენკლატურის შეცვლა ახალი მშენებლობის ნაცვლად რეკონსტრქუციით.

3.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოდგენილ იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი განახლებული ფოტომასალა თარიღის ფიქსაციით. წარმოდგენილ იქნას უკანა მხრიდან გადაღებული ფოტოსურათებიც

4.ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : წარმოდგენილ იქნას დახვეწილი ვიზუალის ფოტომონტაჟი. ასევე სხვა ხედების ვიზუალიზაცია.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.